საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 44
29/08/2018

44-06-4-201808291645

დადგენილება N44
2018 წლის 27 აგვისტო

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/01/2018, 190020020.35.113.016321), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **4 307 782,9 ლარით:**

მათ შორის:

ა) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **3 526 300** ლარით,

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს #1621 განკარგულებით შევიდა ცვლილება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის

შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებაში. ცვლილების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **3 526 300** ლარი;

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **3 526 300** ლარი;

ბ) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **200 000** ლარით,

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 01 აგვისტოს #1468 განკარგულებით 2017-2018 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სპეციალური ტრანსფერი **200 000** ლარი;
მათ შორის:

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად - 200 000 ლარი;

გ) გაიზარდოს საკუთარი შემოსავლების სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (კოდი 142213) **370 400** ლარით;

დ) გაიზარდოს საკუთარი შემოსავლების შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (კოდი145) **200 000** ლარით;

ე) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გრანტები **11 082,90** ლარით:
- ევროკავშირის პროექტის ,,მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **11 082,90** ლარი;

- **შემცირდეს:**

ვ) სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით **(პროგრამული კოდი 06 02 19 – 2.7.2.1.) – 45 000 ლარით;**

ზ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი **(პროგრამული კოდი 03 04 – 2.2.10.14.) – 41 550 ლარით;**

- **შესაბამისად გაიზარდოს:**

თ) საქართველოს მთავრობის #136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინასური აქტივების ზრდა, გზები (**ორგანიზაციული კოდი - 03 02 02 – 61.1.1.5.) – 3 526 300 ლარით;**

ი) საქართველოს მთავრობის #1468 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი (**ორგანიზაციული კოდი - 03 07 – 2.8.2.2.) – 200 000 ლარით;**

კ) მუნიციპალური ტრანსპორტი, სუბსიდია (**ორგანიზაციული კოდი - 03 01 03 – 2.5.) – 16 500 ლარით;**

ლ) ელექტროენერგიის ხარჯი, კომუნალური ხარჯი (**ორგანიზაციული კოდი - 03 02 03 – 2.2.3.12.1.) – 150 000 ლარით;**

მ) წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, სუბსიდია (**ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 2.5.) – 10 000 ლარით;**

ნ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, სუბსიდიები **(პროგრამული კოდი 03 04 – 2.5.) – 41 550 ლარით;**

ო) სპორტული ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (**ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 170 000 ლარით;**

პ) კულტურის ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (**ორგანიზაციული კოდი - 05 02 02 – 2.5.) – 98 900 ლარით;**

ჟ) გრანტის თანხებიდან ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (**ორგანიზაციული კოდი - 05 03 – 2.2.10.14.) – 11 082,90 ლარით;**

რ) ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (**ორგანიზაციული კოდი - 05 03 – 2.2.10.14.) – 25 000 ლარით;**

ს) ,,C'' ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით **(პროგრამული კოდი 06 02 06 – 2.7.2.1.) – 45 000 ლარით;**

ტ) მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით **(პროგრამული კოდი 06 02 05– 2.7.2.1.) – 70 000 ლარით;**

უ) ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით **(პროგრამული კოდი 06 02 08– 2.7.2.1.) – 30 000 ლარით.**

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 27 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო